Vakhtang Nanitashvili
Professor, Guram Tavartkiladze
Tbilisi Teaching University (GTUNI)

The American Roots of the Georgian Radio

(Abstract)

KEYWORDS: Media, Propaganda, Soviet Influence, Censorship, Information Technology, Political Reform, Radio Broadcasting, Independence, Georgia, USA

In the 1970s, almost all Soviet citizens felt their way of life had reached an impasse; something had to change. Both the population and the state perceived the need for significant reform. Only a small minority neither believed nor found it convenient to acknowledge that a political colossus such as the USSR might one day disintegrate. With hindsight, it is easy to analyse what then was a blurred and uncertain future. At the time, Soviet propaganda was omnipresent: the Iron Curtain hung taut, like a Damoclean sword over freedom-loving Georgians who seized every opportunity to win small freedoms under constant pressure.

Before Mikhail Gorbachev launched Perestroika in the mid-1980s, successive Soviet leaders produced little beyond weak counter-propaganda. The opaque articles that circulated in the central press and were rebroadcast in republican newspapers reflected this top-down, defensive information strategy. Ordinary readers often had no means of decoding those stories without knowing the hidden context: such pieces habitually responded to

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

items in the Western press or to radio broadcasts from one of the external “voices”. The central government routinely instructed the republics to “protect” Soviet citizens — Georgians, Lithuanians, Uzbeks and others — from alleged foreign “harmful” influence.

By the late 20th century, advances in information technology and media had effectively shrunk the world. The Soviet campaign against “unwanted radio waves” misfired and became a vector for dissent. As the proverb has it, where there is a will, there is a way. Within the political cage of Soviet counter-propaganda, a distinct media phenomenon emerged, driven by the talent and professionalism of Georgian journalists committed to freedom. Out of this milieu came a genuinely original radio programme, Pikis Saati (‘Prime Time’), which left an enduring imprint on Georgian journalism and helped prepare the nation for the final struggle to reclaim independence from Soviet rule.

Pikis Saati was scheduled to air at 6 p.m. precisely — neither earlier nor later — because it had to compete directly for the same Georgian audience that tuned to voices emanating from across the Atlantic. This national prime-time show opened a crack in the information blockade, offering Georgians a breath of liberty while they still lived within the Soviet prison. Through that breach flowed ideas and information that bypassed official censorship and allowed a determined Georgian public to prepare for the Soviet Union’s imminent collapse. The Russians, despite nearly two centuries of efforts to assimilate their neighbour, never fully succeeded.

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

At the time, authorities high above could not discern the programme's true aim. In retrospect, the freedom of Georgian radio owed much to foreign programming formats, technical resources and journalistic practices, together with the initiative of forward-thinking Georgian broadcasters, including the author. Pikis Saati was not merely entertainment; it was a strategic cultural instrument. By cultivating public debate, exposing listeners to alternative narratives and training a generation of journalists in the craft of independent broadcasting, it helped forge the civic capacities that underpinned Georgia's drive to sovereignty.

The story of Pikis Saati, therefore, demonstrates how media can serve as a catalyst and crucible: under repression, it can consolidate dissent, shape national identity and ready a society for political transformation. The programme's legacy testifies to the power of committed professionals to exploit technological change and transnational influences in pursuit of liberty, even under the most daunting constraints.

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ვახტანგ ნანიტაშვილი
პროფესორი, გურამ თავართქილაძის სახ.
სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველოს რადიოს „ფესვებიდან გაზომილი სიმაღლე“

საკვანძო სიტყვები: მედია, პროპაგანდა, საბჭოთა გავლენა, ცენზურა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, პოლიტიკური რეფორმა, რადიომაუწყებლობა, დამოუკიდებლობა, საქართველო

მეორე მსოფლიო ომს ცივი ომი[1] მოჰყვა. 1950-იანი წლებიდან „რკინის ფარდა“ ორ პოლიტიკურ სისტემას შორის იმ სიმაღლეზე აღიმართა, რომ მისი გადალახვა შეუძლებელი გახდა. იმ პერიოდში ტელევიზიის ტექნიკური შესაძლებლობები ჯერ კიდევ იმდენად მწირი იყო,[2] რომ უახლოეს ათწლეულებში მისი ფუნქცია, როგორც პლანეტაზე უპირველესი ინფორმაციის გამავრცელებლისა, წარმოუდგენელი მოსჩანდა. რაც შეეხება ბეჭდურ მედიას, მაშინდელი პრესა ფიზიკურად ვერ შეასრულებდა ინფორმაციის თავისუფლად გამავრცელებლის მისიას, რადგან ამ გზის „გადაკეტვა“ ძალზე იოლი იყო. ტოტალიტარული რეჟიმი, რასაც რეალურად წარმოადგენდა საბჭოთა სისტემა,[3] ჩაკეტილ სივრცეში ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში. ხმის მიწვდენის, ინფორმაციის გავრცელების ერთადერთი საშუალება ბუნებრივად აღმოჩნდა რადიო. ამიტომაც ექცეოდა მასობრივი ინფორმაციის ამ საშუალებას განსაკუთრებული ყურადღება.

რადიოს განვითარებასთან ერთად,[4] გაჩნდა მისი დამორჩილების საშუალებებიც – შეიქმნა რადიოტალღების ჩამხშობი მოწყობილობები.[5] თუმცა, „არასასურველი ტალღები“ ხშირად მაინც აღწევდა მიზანს. უფროსი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ, როგორ გაფაციცებით

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ეძებდნენ ისინი განსხვავებულ აზრს რადიოსივრცეში და ხშირ შემთხვევაში საშინელი ხრიალის ფონზე მაინც იღებდნენ ისეთ ინფორმაციას, რომელსაც საბჭოთა პროპაგანდა ძირგამომთხრელს უწოდებდა, ქვეყნის საშინაო საქმეში უხეში ჩარევის მცდელობად აფასებდა. ასეთი, „აკრძალული“ ინფორმაციის მომპოვებლებს გამოჭერის შიში კი ჰქონდათ, მაგრამ არასოდეს აწუხებდათ დანაშაულის გრძნობა.

თანამედროვე საზოგადოების დიდ ნაწილს რადიო-ომი, რაც XX საუკუნეში, უმეტესწილად, რადიოცენზურაში[6] გამოიხატებოდა, მხოლოდ საბჭოური წყობის მოგონილი ჰგონია. ეს აზრი ცალსახად მცდარია. რადიოცენზურის განვითარებაში პირველობა გერმანიას ეკუთვნის, რომელსაც კუდში მისდია საბჭოთა კავშირმა. რადიოცენზურა, რასაც იმ უკვე საკმაოდ შორეულ ეპოქაში რადიოდაცვას უწოდებდნენ, გერმანელებმა გამოიყენეს პირველი მსოფლიო ომის დროს.[7] იდეა იმდენად მომხიბლავი და მოსახერხებელი გამოდგა, რომ 1920-იანი წლების მიწურულს საბჭოთა კავშირმა ბერლინის რადიოგადაცემები დაბლოკა,[8] ხოლო გერმანიამ საბჭოთა „კომინტერნის[9] სახელობის რადიოს“[10] გადაცემები ჩაახშო. ასეთი მაგალითი უამრავია:

- 1931 წელს საბჭოთა კავშირმა რუმინეთის რადიოს „აუკრძალა“ მის ტერიტორიაზე გადაცემების გავრცელება;
- 1934 წელს ავსტრიამ „უარი თქვა“ გერმანული რადიოს გავრცელებაზე მისი მეზობელი ქვეყნის მიერ ფაშისტური იდეოლოგიის პროპაგანდის გამო;
- 1936 წელს იტალიამ დაბლოკა აბისინიისათვის განკუთვნილი ბი-ბი-სის გადაცემები;
- 1937 წელს მსგავსი ამკრძალავი გადაწყვეტილება მიიღეს მოსკოვისა და მადრიდის რადიოებმა.

1931 წლის 10 სექტემბრიდან 1991 წლის 27 დეკემბრამდე ფუნქციონირებდა ტელე და რადიომაუწყებლობის

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

სსრკ სახელმწიფო კომიტეტი. 1937 წელს საბჭოთა კავშირში შეიქმნა რადიობლოკირების სპეციალური უწყება.[11]

მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას „ომი“ რადიოეთერშიც მიმდინარეობდა.[12] მოკლე შეტყობინებებითა და მოწოდებებით ერთმანეთის რადიოეთერში იჭრებოდნენ როგორც ბერლინის, ისე მოსკოვის რადიოები. ბერლინის რადიოს ეთერში ხშირად „ერთვებოდა“ ლონდონიც.[13]

1946 წლიდან სსრკ-მა ყოფილი მოკავშირის, ბი-ბი-სის გადაცემათა ჩახშობაც დაიწყო.[14]

1950-იანი წლებიდან, სწორედ იმ დროს, როცა ცივი ომი პლანეტის ცხოვრების განუყოფელი რეალობა გახდა,[15] მძლავრი სამაუწყებლო კომპანიები შეიქმნა: „ამერიკის ხმა“,[16] „თავისუფლება“,[17] „თავისუფალი ევროპა“,[18] „გერმანული ტალღა“[19] და ა.შ. პარალელურად, რაც მოსალოდნელი იყო კიდეც, გაიზარდა ჩამხშობი მოწყობილობების რაოდენობაც. თუ 1946 წლისათვის საბჭოთა კავშირში რადიოხმების ჩამხშობი რამდენიმე ათეული აპარატურა იყო დამონტაჟებული, უკვე 1951 წლისათვის ათასს, ხოლო 1956 წლისათვის – 3 ათასს მიაღწია. ასეთი მოწყობილობები რუსულმა საბჭოთა ცენზურამ თავს მოახვია საქართველოსაც: ბაზალეთის ტბაზე, სართიჭალაში და სხვა მრავალ ადგილას დაამონტაჟებინა.

იმ რადიოსადგურების ნუსხა, რომელსაც 1945 წლიდან 1988 წლამდე ახშობდნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, შემაშფოთებლად გრძელია. მხოლოდ ძირითადის ჩამოთვლაც კი დამთრგუნველ შთაბეჭდილებას დატოვებს XXI საუკუნის დასაწყისის ადამიანის თვალში:

- ბი-ბი-სი[20] (დიდი ბრიტანეთი)
- სი-ბი-ესი[21] (კანადა)
- დოიჩე-ველე[22] (გერმანია)
- ო-ერ-ტე-ფი[23] (საფრანგეთი)
- რადიო „თავისუფლება“[24] (აშშ)
- „თავისუფალი ევროპა“[25] (აშშ)
- „ამერიკის ხმა“[26] (აშშ)
- „ისრაელის ხმა“[27] (ისრაელი)

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

- „ავღანეთის რადიო“[28] (ავღანეთი)
- „ბელგრადის რადიო“[29] (იუგოსლავია/სერბეთი)
- „ვატიკანის რადიო“[30] (ვატიკანი)
- „პეკინის რადიო“ (ჩინეთი)
- „ტირანას რადიო“[31] (ალბანეთი)

ასეთი უმკაცრესი ცენზურის მიუხედავად, „რაღაც მანქანებით“, მაინც აღწევდა საინფორმაციო „აკრძალული ხილი“ საბჭოთა მოქალაქეთა დიდი ნაწილის ყურამდე.

მხოლოდ 1988 წელს, გარდაქმნის („პერესტროიკა“)[32] პერიოდში შეწყდა უცხოური „ხმების“ ჩახშობა და შესაძლებელი გახდა იმ განსხვავებული აზრისა თუ ინფორმაციის მოსმენა, რომელსაც ათწლეულების განმავლობაში უფრთხოდნენ საბჭოთა მენტალიტეტთან ადაპტირებულები და უკრძალავდნენ მენტალურად თავისუფლებისმოყვარე ქართველ ერს.

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის განმავლობაში მსოფლიოს მრავალი ქვეყანა იყენებდა რადიოსიგნალის გავრცელების საწინააღმდეგო ჩამხშობ მოწყობილობას ანუ საკუთარ მოქალაქეებს თავს ძალით ახვევდა რადიოცენზურას: ალჟირი, ავსტრია, ბულგარეთი, ბრიტანეთი, უნგრეთი, ვიეტნამი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა (გდრ), გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (გფრ), საბერძნეთი, ეგვიპტე, ისრაელი, ერაყი, ირანი, ესპანეთი, იტალია, კვიპროსი, კამპუჩია (თანამედროვე კამბოჯა), კოლუმბია, კუბა, მაროკო, ბირმა (თანამედროვე მიანმარი), პოლონეთი, როდეზია (თანამედროვე ზიმბაბვე), ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა, საბჭოთა კავშირის თხუთმეტივე რესპუბლიკა, სომალი, თურქეთი, საფრანგეთი, ჩეხოსლოვაკია (თანამედროვე ჩეხეთის რესპუბლიკა და სლოვაკეთი), ეთიოპია, იუგოსლავია (თანამედროვე სლოვენია, ხორვატია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ჩრდილოეთ მაკედონია, მონტენეგრო, სერბეთი, კოსოვო, ასევე, სერბეთის ავტონომიური მხარე – ვოევოდინა), ჩილე, იაპონია, ჩინეთი.

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დღეს ბევრს ჰგონია, რომ რადიოცენზურა აღარ არსებობს და ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია თავისუფლად გაავრცელოს ინფორმაცია. ეს მოსაზრება მცდარია.[33] განსაკუთრებული ინტენსივობით იყენებს რადიოცენზურას ჩინეთი, ირანი და კუბა.[34] ჩრდილოეთკორეელები კიდევ უფრო შორს წავიდნენ ამ მხრივ.[35] არათუ რადიოცენზურა, მათ დღემდე აკრძალული აქვთ შინ მოკლეტალღოვანი რადიომიმღების ქონა. ასეთი საინფორმაციო ვაკუუმი მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში არსებობდა სსრკ-ში.

1950-იან წლებში, ქუვეითის ომის[36] დროს, ამერიკელები ახშობდნენ ბაღდადის რადიოს გადაცემებს, ხოლო ავღანეთის ოპერაციის მიმდინარეობისას აშშ-ის სამხედრო ძალებმა დაბომბეს და გაანადგურეს თალიბების რადიო „შარიათის ხმა“.[37]

ამჟამად მარტო ამერიკის საერთაშორისო მაუწყებლობის ბიურო მთელს მსოფლიოში თავის პროგრამებს გადასცემს 19 საშუალოტალღოვანი 341 მოკლეტალღოვანი გადამცემებით, რისთვისაც ათეულობით მილიარდ დოლარს ხარჯავს.[38] უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოშიც ესმოდეთ რადიოს მნიშვნელობა ისე, როგორც, თუნდაც, გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში. რადიოს გავრცელება, მიუხედავად 1990-იანი წლებიდან მომრავლებული კომერციული რადიოარხებისა, საქართველოში, რბილად რომ ვთქვათ, უაღრესად არასასურველ დონეზეა ჯერაც. თუმცა, ამას ვერ ვიტყვით რადიოჟურნალისტიკაზე.

ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ერთერთი ადგილობრივი რადიოსადგურის, ჩემი აზრით, ყველაზე მძლავრისა და საინტერესოს, რადიო „თავისუფლების“ ქართული სამსახურის საქმიანობის დეტალურად გაცნობა. მით უმეტეს, რომ იგი ისტორიული თვალსაზრისითაც უმნიშვნელოვანესია ქართული რადიოჟურნალისტიკისთვის. მასში მოღვაწეობდნენ 1921 წელს საქართველოს პირველი რესპუბლიკის[39] მთავრობის წარმომადგენლები, რომლებიც საბჭოთა ოკუპაციის შედეგად სამშობ-

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლოდან განდევნეს კომუნისტური მოსკოვის მსტოვრებმა. „თავისუფლება“ აღმოჩნდა მათთვის შანსი, რადიოს საშუალებით ხმა მიეწვდინათ საკუთარი სამშობლოსათვის. სწორედ რადიო „თავისუფლების“ დამსახურებით, მისმა არქივმა შემოგვინახა და დღეს გვაქვს გრიგოლ რობაქიძის,[40] მიხაკო წერეთლის,[41] ვიქტორ ნოზაძის,[42] კონსტანტინე (კალე) სალიას[43] და უცხოეთში იძულებით გადახვეწილი ჩვენი სხვა არაერთი თანამემამულის ხმის ჩანაწერები.

რადიო „თავისუფალი ევროპა“ (RFE) და „თავისუფლება“ (RL) პირველად ეთერში 1950 წლის 4 ივლისს გავიდა. მოკლეტალღოვანი გადამცემი კოდური სახელწოდებით „ბარბარა“[44] დამონტაჟებული იყო გერმანიის ქალაქ მიუნხენში, ამერიკის არმიის მანქანაში. რეგულარული გადაცემები დაიწყო ათი დღის შემდეგ, 1950 წლის 14 ივლისს. ეს გადაცემები ნიუ-იორკის რადიოსტუდიაში იწერებოდა და ფირები საჰაერო ფოსტით გადაჰქონდათ ბავარიის დედაქალაქში. ერთი წლის შემდეგ „თავისუფალმა ევროპამ“ და „თავისუფლებამ“ ბინა მიუნხენში დაიდო და 1951 წლის 1 მაისს, დილის 11 საათზე პირველად ეთერში გავიდა ჩეხოსლოვაკური სამსახური. 40 წუთში ეს გადაცემა ჩაახშეს. 1988 წლამდე, თითქმის, 40 წელი ასე გრძელდებოდა. ჩეხოსლოვაკურს მოჰყვა გადაცემები უნგრულ, ბულგარულ, პოლონურ, რუმინულ ენებზე.

ქართულად რადიო „თავისუფლების“ მაუწყებლობა 1953 წლის 18 მარტს დაიწყო. პარიზში, სადაც თავშესაფარი ჰპოვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) საბჭოთა რუსეთის მიერ განდევნილმა მთავრობამ, ცხარე ბჭობა მიმდინარეობდა პოზიციასა და ოპოზიციას შორის „ამერიკულ განთავისუფლების კომიტეტთან“[45] თანამშრომლობაზე. უმრავლესობა ამ თანამშრომლობის მომხრედ გამოდიოდა, რადგან მიაჩნდათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც ერთ დროს თავად იყო კოლონია, უკეთესად გაიგებდა საქართველოში არსებულ ვითარებასა და ქართულ პოლიტიკურ ტრაგედიას. ნოე ჟორდანიას[46] მთავრობამ დაავალა საქართვე-

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლოს საგარეო საქმეთა მინისტრს, ევგენი გეგეჭკორსა[47] და განათლების მინისტრის მოადგილეს, ნოე ცინცაძეს,[48] მოლაპარაკება ეწარმოებინათ „ამერიკის განთავისუფლების კომიტეტთან“. შეთანხმების შედეგად გადაწყდა, რომ ქართულ რედაქციას სათავეში ჩადგომოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, რაჟდენ (მიშა) არსენიძე.[49] მასთან ერთად, ქართული რედაქციის ფუძემდებლები იყვნენ დავით ურატაძე და ილია კუჭუხიძე.[50] მოგვიანებით რედაქციის წევრებს დაემატნენ ნიკო იმნაიშვილი, კარლო ინასარიძე,[51] ვანიკო ინწკირველი, შალვა კალანდაძე[52] და სხვ.[53]

კარლო ინასარიძის მოგონებებში დაფიქსირებულია ახლადშექმნილი რადიო „თავისუფლების“ ქართული გუნდის წევრთა სულისკვეთება და საქმისადმი დამოკიდებულება: ახლადმიღებულ ქართველ თანამშრომლებს ხელფასზე არ დაუწყიათ საუბარი, რამაც ამერიკელთა ბუნებრივი გაკვირვება გამოიწვია. იმდენი ხელფასი მოგვეცით, რაც საჭიროა ბინისა და საჭმლისათვისო, იყო რაჟდენ არსენიძის პასუხი.[54]

რვა წლის შემდეგ, როდესაც 82 წლის ბატონ რაჟდენს გულის პრობლემა აწუხებდა, ჭარმაგ ქართველს იუმორით აღუნიშნავს: „ამერიკელების ბრალია, გულს რომ ვუჩივი. მათ მომცეს დიდი ხელფასი, არასწორად ვიკვებებოდი და ამან გამოიწვია ჯანმრთელობის პრობლემები“.[55] რაჟდენ არსენიძე 1962 წლამდე ხელმძღვანელობდა რედაქციას. იგი 1965 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია ლევილში. ამ უაღრესად გამორჩეული პიროვნების ხსენება ყოვლად დაუშვებელია იმ ისტორიული ფაქტის გახსენების გარეშე, რომ რაჟდენ არსენიძის თაოსნობით შეიქმნა საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო. ამას ერთსულოვნად ადასტურებენ მისი თანამედროვენი, მათ შორის, ნოე ცინცაძეც: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციას რ. არსენიძის კულტურისა და ცოდნის ბეჭედი აზის“.[56] მანამდე კი, 1918 წლის 26 მაისს

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შედგენაშიც მიიღო მონაწილეობა.

რაჟდენ არსენიძის შემდეგ, რადიო „თავისუფლების“ ქართულ რედაქციას სათავეში კარლო ინასარიძე ჩაუდგა. იგი ორ ათეულ წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობა მას. 1980-იანი წლების დასაწყისში იგი შეცვალა გულნარა პატარიძემ, რომელმაც ამ სტრიქონების ავტორთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს რადიოსა და რადიო „თავისუფლების“ პარტნიორებად ჩამოყალიბების საქმეში. ქალბატონი გულნარას ინიციატივით შეიქმნა რადიო „თავისუფლების“ თბილისის ბიურო – ესეც ჩვენი მოლაპარაკების შედეგი. სწორედ ამ ადამიანის დამსახურებაა, რომ რადიო „თავისუფლების“ გადაცემებს უპრობლემოდ უსმენენ დამოუკიდებლობადაბრუნებულ საქართველოში.

მაშინ, შორეულ 1953 წლის იანვარში კი, რაჟდენ არსენიძე კოლეგებთან ერთად ფიქრობდა რადიო „თავისუფლების“ ქართული განყოფილების სამოქმედო პროგრამაზე, რომელიც საბოლოოდ ამ სახით ჩამოაყალიბეს:

- მიაწოდოს სრული და თავისუფალი ინფორმაცია საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ქართველებს მათ მშობლიურ ენაზე;
- მხარი დაუჭიროს ისეთ მისწრაფებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს საზოგადოების დემოკრატიზაციას, სამართლიანობას და ეროვნულ თვითგამორკვევას;
- ქართული კულტურის ღირებულებათა და ეროვნულ თავისებურებათა დაცვისა და წახალისების მიზნით, გააშუქოს ქართველი ერის ისტორიისა და ცხოვრების ის თანმიმდევრობითი მეობა, რომელიც საბჭოთა ეპოქამდე არსებობდა მრავალი საუკუნის განმავლობაში, კვლავაც იარსებებს და აყვავდება მომავალში.

რადიო „თავისუფლების“ ქართული განყოფილების მისია – საბჭოთა „რკინის ფარდის“ მიღმა ჩარჩენილი

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ქართველი მსმენელისათვის მიეწოდებინა მიუკერძოებელი ინფორმაცია იმაზე, რაზეც საბჭოთა კავშირში არ საუბრობდნენ, აგრეთვე, გაეცნო მათთვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტია,[57] რომელიც დიდი და პატარა ერების თანასწორობას ამკვიდრებს, რაჟდენ არსენიძემ არასაკმარისად მიიჩნია. საბოლოოდ, რადიოს ამერიკულ ხელმძღვანელობასთან იმაზე შეთანხმდა, რომ ქართული რედაქციის იდეოლოგიად ეღიარებინათ მესამე დასის[58] სამოქმედო პროგრამა: „ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც ადამიანის ცხოვრების დედაბოძი, თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული ადამიანისა“.[59]

1953 წლის 18 მარტს რადიო „თავისუფლების“ ეთერში პირველი ქართულენოვანი გადაცემა გავიდა. თავდაპირველად გადაცემები საღამოობით გადიოდა და 15-წუთიანი პროგრამა ოთხჯერ მეორდებოდა. ამავე დროს, ყოველ დილას ასევე ოთხჯერ მეორდებოდა წინა ღამის პროგრამა. ქრონომეტრაჟი ეტაპობრივად გაიზარდა: ჯერ 20-წუთიანი გახდა, შემდეგ ნახევარსაათიანი და, ბოლოს, ერთსაათიანი.

ილია კუჭუხიძე, რომელიც 30 წლის განმავლობაში იყო ქართული რედაქციის წამყვანი, გამუდმებით ცდილობდა ეროვნული პრობლემების წინ წამოწევას. რადიო „თავისუფლების“ გადაცემებში საუბრობდნენ ისეთ თემებზე, რაზე ფიქრიც კი აკრძალული იყო საბჭოთა რეჟიმის ტყვეობაში მოხვედრილ საქართველოში: ქართულ სულზე, ქართულ ღირსებებზე, ქართულ ტრადიციებსა და ქართველ გმირებზე. რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის თითოეული თანამშრომელი საქართველოს სუვერენიტეტს იცავდა სიტყვის ძალით, გონიერებისა და განათლების საფუძველზე. 1984 წლის ნოემბერში ილია კუჭუხიძე პენსიაზე გავიდა. ამავე პერიოდში კარლო ინასარიძე ჯანრი კაშიამ შეცვალა მთავარი რედაქტორის თანამდებობაზე. ახალი ხელმძღვანელის ინიციატივით, დამსახურებულ პენსიაზე მყოფმა ილია კუჭუხიძემ არაერთი საინტერესო გადაცემა გააკეთა ილია ჭავჭავაძის, არჩილ ჯორჯაძისა და სხვა ქართველი მოღვაწეების შესახებ.

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულება, რაც ელოდება ლამის 70 წლის წინათ დაწყებულ რადიოპროგრამას: როგორც კი საქართველო NATO-ს[60] კარს შეაღებს, „თავისუფლებისა“ და „ამერიკის ხმის“ გადაცემები ქართულ ენაზე შეწყდება. ასეთია ამ რადიოსადგურების საქმიანობის პრინციპი. მანამდე კი, სანამ საბოლოო მიზანი მიუღწეველი რჩება, ისინი ფუნქციონირებას განაგრძობენ.

XX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს რადიოში არსებობდა სპეციალური სტუდია, სადაც „ამერიკის ხმისა“ და რადიო „თავისუფლების“ გადაცემები იწერებოდა, შემდეგ იშიფრებოდა და გრიფით „საიდუმლო“ ურიგდებოდა ხელმძღვანელ ამხანაგებს ცენტრალურ კომიტეტსა (ცეკა)[61] და სხვა უწყებებში. იმ სტუდიაში შესვლა რადიოს რიგით თანამშრომლებს ეკრძალებოდათ. ასე რომ, მხოლოდ ისინი, ვისაც უნდა სცოდნოდა რაზე საუბრობდნენ „ხმები“, ფლობდნენ სრულ ინფორმაციას.

როგორც აღვნიშნეთ, 1950-იანი წლების დასაწყისში ტელემაუწყებლობა არ იყო იმდენად განვითარებული, რომ განსაკუთრებული მეტოქეობის გაწევა შესძლებოდა რადიოსათვის. შესაბამისად, გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა რადიოეთერისათვის, მილიარდები იხარჯებოდა ამ საქმეზე. ამავე დროს, ტელევიზიის პრიორიტეტი უკვე აშკარა იყო, რადგან „ასჯერ გაგონილს, ერთხელ ნანახი სჯობს“. ამის წინააღმდეგ ძალზე ჭირს არგუმენტის მოძებნა. ყოველივე ამას ვერ გაუძლებდა ვერც უმძლავრესი ქვეყნის ეკონომიკაც კი.

სწრაფად ახლოვდებოდა გლობალური ტელევიზიის ეპოქა. მას შემდეგ, რაც კოსმოსური ხომალდიდან შესაძლებელი გახდა გამოსახულების მიღება, ხოლო 1969 წლის 11 ივლისს ამერიკელმა ასტრონავტმა, ნილ არმსტრონგმა პირდაპირი რეპორტაჟი გააკეთა მთვარიდან, სრულიად ნათელი გახდა მისი პირველი კოსმოსური სიტყვების ჭეშმარიტება: „ადამიანის ეს პატარა ნაბიჯი კაცობრიობის გიგანტურ ნახტომს უდრის“.[62] ვფიქრობ, სწორედ აქედან იწყება იდეოლოგიური დაპირისპირების

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მეორე ეტაპი, რომელმაც იძულებული გახადა ხელისუფლება, გაეხსნა საზღვრები, მოესმინა განსხვავებული აზრი, ხელმისაწვდომი გაეხადა ისეთი რამ, რაც ადრე გასაჯაროებას კატეგორიულად არ ექვემდებარებოდა. მართლაც, ძნელი წარმოსადგენი იყო სურსათ-სანოვაგით გადავსებული ამერიკული მაღაზიების ფონზე ცარიელი საბჭოური დახლების მრავლისმეტყველება არ შეგეგრძნო. 1980-იან წლებში კარაქი თუ ხორცი ტალონებით უნდა შეეძინა საბჭოთა მოქალაქეს, რომლისგანაც ამავე დროს მაინც „თავისუფლად სუნთქვასა“ და „დიადი სამშობლოთი“ სიამაყეს მოითხოვდა საბჭოური პროპაგანდა. უფრო მეტიც, ურთულესი გახდა თავისუფალი აზრის იმ ხარისხისთვის რაიმე ღირებულის დაპირისპირება, რომელიც ამერიკულ მასმედიაში სუფევდა. ვერანაირ კონკურენციას ვერ უწევდა ტოტალიტარული რეჟიმისთვის ნიშანდობლივი „ერთხმიანი“ პრესა, რადიო და ტელევიზია.

ბევრი ფიქრობს, რომ საბჭოთა წყობის კატასტროფა მხოლოდ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის კრახით იყო გამოწვეული. სინამდვილეში, ამის მიზეზს ასევე წარმოადგენდა გლობალური სატელევიზიო სისტემის შექმნის პერსპექტივა. ფარდაგადაწეულ „გლობალურ სოფელში“[63] უკვე აღარ იყიდებოდა „ლამაზი“ სიცრუე.

1970-იან წლებში შინაგანად, თითქმის, ყველა საბჭოელი მეტ-ნაკლებად გრძნობდა, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლებოდა. მნიშვნელოვანი ცვლილებების აუცილებლობას მიხვდა როგორც ხალხი, ისე საბჭოთა ხელისუფლებაც. მხოლოდ ერთეულებს არ სჯეროდათ (ან – არ აწყობდათ),[64] რომ დაინგრეოდა ის პოლიტიკური მონსტრი, რასაც სსრკ[65] წარმოადგენდა. დღეს უკან მიხედვა[66] და ასეთი მომავლის პროგნოზირება ადვილია. მაშინ კი მძლავრად მუშაობდა საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა. დამოკლეს მახვილივით ეკიდა „რკინის ფარდა“ თავისუფლების მსურველი ქართველების თავზე.

გარდაქმნამდე („პერესტროიკა“) საბჭოთა ბოსებმა განსაკუთრებული ვერაფერი მოიფიქრეს, მხოლოდ უსუსური კონტრპროპაგანდა. ამიტომაც ქვეყნდებოდა ცენ-

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ტრალურ თუ რესპუბლიკურ პრესაში სტატიები, რომელთა შინაარსს ვერც კი მიხვდებოდი, თუ არ გეცოდინებოდა, რა ედო მათ წინაპირობად. როგორც წესი, ისინი წარმოადგენდა დასავლეთის პრესაში გამოქვეყნებული წერილის, ან რომელიმე „ხმის“ მიერ გავრცელებული მასალის პოლიტიკურ პასუხს. ბუნებრივია, ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლება სათანადო მითითებებს აძლევდა შესაბამის რესპუბლიკებს, რათა უცხოური „მავნე“ ზეგავლენისგან „ეხსნათ“ საბჭოთა ქართველი, ლიტველი, უზბეკი[67] და სხვა.

XX საუკუნის მიწურულს პლანეტა „დაპატარავდა“ მედიაპროგრესის წყალობით. „არასასურველი რადიოტალღების“ წინააღმდეგ საბჭოთა ბრძოლამ უკუშედეგი გამოიღო[68] და დამორჩილებული დაუმორჩილებლობის წყაროდ ამოხეთქა. როგორც ამბობენ, when there is a will, there is a way (თუ სურვილია, გზაც გამოინახებაო). საბჭოთა უსუსური კონტრპროპაგანდის ბადეში აღმოცენდა უნიკალური მედიაფენომენი, რომელმაც წარმოაჩინა ქართული თავისუფლების უშრეტი და უკიდეგანო ნიჭი, რამაც ეროვნული ჟურნალისტიკის ისტორიაში საამაყო კვალი დატოვა. საქართველოში დაიბადა უნიკალური, საინტერესო და დამოუკიდებლობისთვის შემამზადებელი რადიოპროგრამა „პიკის საათი“, რომელიც საღამოს 6 საათზე უნდა გასულიყო ეთერში. არც ამაზე ადრე, არც გვიან. ამ ეროვნულმა პრაიმ-ტაიმმა (Prime Time)[69] საბჭოთა საპყრობილეში ის სარკმელი გაუჭრა ქართველებს, საიდანაც თავისუფლების სიო შემოიჭრა ორი საუკუნის განმავლობაში რუსების მიერ ბოლომდე მაინც ვერდამორჩილებული, მოუთვინიერებელი მცირერიცხოვანი, გულადი ერის შვილებისათვის. ცხადია, „ზემოთ“ ამას ვერავინ მიხვდა. დღეს ეს უკვე მომხდარი ფაქტია – ქართული რადიოს თავისუფლება ამერიკულ ფესვებზე[70] დაამყნეს ეროვნულად მოაზროვნე პიროვნებებმა, მათ შორის, თქვენმა მონამორჩილმა.

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლიტერატურა ▫ References

1. Nadare, Maia (2008). *Breaking the Fourth Wall*, Tbilisi: Publishing House Universal, p. 451 (In Georgian).
2. Marling, Karal Ann (1994). *As Seen on TV: The Visual Culture of Everyday Life in the 1950s*. Cambridge, Massachusetts: Harvard University Press.
3. Wolfe, Bertram D. (2019). *Communist Totalitarianism: Keys to the Soviet System*. 1st Edition, Kindle Edition, Abingdon-on-Thames, UK: Routledge.
4. Rutland, David (2013). *Behind the Front Panel: The Design & Development of 1920's Radio*. 2nd Ed., A California Historical Radio Society Publication.
5. Summers, Harrison B. (1939). *Radio Censorship*. H.W. Wilson Company.
6. Jennings, Brian (2009). *Censorship: The Threat to Silence Talk Radio*. Kindle Edition, New York, NY: Threshold Editions (Simon & Schuster, Inc.).
7. Jelavich, Peter (2009). *Berlin Alexanderplatz: Radio, Film, and the Death of Weimar Culture*. Volume 37, LA, CA: University of California Press.
8. *Радиожурналистика* (2000). Под ред. проф. А. А. Шереля, Москва: Издательство Московского университета.
9. Comintern (i.e. The Communist International), also known as the Third International, was an international organisation founded in 1919 that advocated world communism, headed by the Soviet Union.
10. Иоффе Х. А., Курицына Н. Н. (1977). Самая мощная в Европе. *Электросвязь*, № 12, стр. 47-50.
11. *Телевидение и радиовещание в СССР* (1979). Колл. авт. Алексеев С. П. и др., под общ. ред. А. П. Болгарева, Москва: «Искусство».
12. Sweeney, Michael S. (2001). *Secrets of Victory: The Office of Censorship and the American Press and Radio in World War II*. Chapel Hill, NC: The University of North Carolina Press.
13. Summers, Robert E. (1942). *Wartime Censorship of Press and Radio*. New York, NY: H.W. Wilson Company.
14. *Идеологическое противостояние Востока и Запада в годы холодной войны сопровождалось радиоподавлением* [plam.ru].

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

15. Schlosser, Nicholas J. (2015). *Cold War on the Airwaves: The Radio Propaganda War against East Germany*. Kindle Edition, Chicago, IL: University of Illinois Press.
16. Heil, Alan L. (2003). *Voice of America: A History*. New York, NY: Columbia University Press.
17. Mickelson, Sig (1983). *America's Other Voice: The Story of Radio Free Europe and Radio Liberty*. New York, NY: Praeger Publishers.
18. Holt, Robert T. (1958). *Radio Free Europe*. Minneapolis, MN: University of Minnesota Press.
19. Deutsche Welle (DW) [dw.com/en/about-dw/s-30688].
20. Parker, Derek (1977). *Radio: The Great Years – History of BBC radio programmes from the beginning until the date of publication*. Newton Abbot: David & Charles.
21. Paper, Lewis J. (1987). *Empire: William S. Paley and the Making of CBS*. New York, NY: St. Martin's Press.
22. Wood, James (2000). *History of International Broadcasting*. Stevenage, England: Institution of Engineering and Technology.
23. Kuhn, Raymond (2006). *The Media in France*. New York, NY: Routledge, pp. 70-180.
24. Johnson, A. Ross (Ed.), and R. Eugene Parta (Ed.) (2010). *Cold War Broadcasting: Impact on the Soviet Union and Eastern Europe*. Budapest, Hungary: Central European University Press.
25. Johnson, A. Ross (2010). *Radio Free Europe and Radio Liberty: The CIA Years and Beyond*. Redwood City, CA: Stanford University Press.
26. Stephens, Mitchell (2017). *The Voice of America: Lowell Thomas and the Invention of 20th-Century Journalism*. New York, NY: St. Martin's Press.
27. Amouyal, Noa, and Seth J. Frantzman (2015, August 25). Voice of Israel English-language radio closes after the first year. *The Jerusalem Post*.
28. Radio Afghanistan, also known as Radio Kabul or Voice of Sharia was installed in Kabul Palace by King Amanullah Khan in 1925. In: Baily, John (2016). *War, Exile and the Music in Afghanistan: The Ethnographer's Tale*. Taylor & Francis.
29. Collin, Matthew (2001). *This Is Serbia Calling: Rock'n'roll Radio and Belgrade's Underground Resistance*. London, UK: Serpent's Tail.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

30. Matelski, Marilyn J. (1995). *Vatican Radio: Propagation by the Airwaves*. Media & Society Series, Praeger.
31. Ruci, Klara (2022, February 13). *World Radio Day: The Story of Radio Tirana, the first radio station in Albania*, Radio Tirana International.
32. Заикин Евгений (2013). *Перестройка*. Издательство «Нобель Пресс».
33. Myers, Lawrence W. (1989). *Improvised Radio Jamming Techniques: Electronic Guerrilla Warfare*, Paladin Press.
34. Радиоцензура [radioprofessional.info/radio_ist_cenz.php].
35. Sedaghat, Nouran (2014, March 17). North Korea Exposed: Censorship in the World's Most Secretive State. *Canadian Journalists for Free Expression*.
36. Al-Nakib, Farah (2014). *Kuwait's Modernity Between Memory and Forgetting*. Introduction to "Acquiring Modernity" booklet, 14th International Architecture Exhibition, pp. 7-9 [academia.edu/8186917].
37. Sheva, Muhammad Arif (2019, August 6). Radio Shariat Ruined in Ghazni. *TKG* [tkg.af/english/2019/08/06/radio-shariat-ruined-ghazni].
38. Elliott, Kim A. (Winter 1989/90). Too Many Voices of America. *Foreign Policy*, pp. 113-131.
39. ჟორდანია ნოე (1953/1990). ჩემი წარსული. თბილისი: „სარანგი".
40. გრიგოლ რობაქიძე [nplg.gov.ge/emigrants/ka/00000161].
41. მიხაკო წერეთელი [nplg.gov.ge/emigrants/ka/27].
42. ვიქტორ ნოზაძე [nplg.gov.ge/emigrants/ka/11].
43. კონსტანტინე (კალე) სალია [mematiane.ge].
44. Brown, Ken (2020, June 30). Barbara: The Original Voice of RFE. *Radio Free Europe & Radio Liberty*.
45. Prados, John (2009). *Safe for Democracy: The Secret Wars of the CIA*. Chicago, IL: Ivan R. Dee.
46. ნოე ჟორდანია [nplg.gov.ge/emigrants/en/00000379].
47. ევგენი გეგეჭკორი [nplg.gov.ge/emigrants/en/294].
48. ნოე ცინცაძე [nplg.gov.ge/emigrants/ka/00000986].
49. რაჟდენ (მიშა) არსენიძე [nplg.gov.ge/emigrants/ka/00000201].
50. ილია კუჭუხიძე [nplg.gov.ge/emigrants/ka/00000176].

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

51. კარლო ინასარიძე [nplg.gov.ge/bios/ka/00015249].
52. შალვა კალანდაძე [nplg.gov.ge/emigrants/ka/00000615].
53. ინასარიძე შუქურა (2006, ივნისი 3). დაბრუნებული „ქართული სული“: ილია კუჭუხიძის დაბადებიდან 100 წლისთავისათვის, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №106 (5446), გვ. 9.
54. ინასარიძე კარლო (1984). პატარა „ოქროს ხანა“: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). მიუნხენი.
55. შარაძე გურამ (2001-2005). ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტომი 1-7. თბილისი: „მეცნიერება“.
56. „ჩვენი დროშა“ (1965), №43, პარიზი, გვ. 6.
57. Charter of the United Nations and Statute of the International Court of Justice (1945). San Francisco [treaties.un.org/doc/Publication/CTC/uncharter.pdf].
58. მესამე დასი იყო პირველი პოლიტიკური ორგანიზაცია საქართველოში, რომელიც 1892-1893 წლებში ჩამოყალიბდა მწერალ ეგნატე ნინოშვილის თაოსნობით და 1903 წლამდე იარსება [nplg.gov.ge].
59. ჯიბლაძე სილიბისტრო (1894, მაისი 22). ეგნატე ინგოროყვას (ნინოშვილის) გარდაცვალების გამო: მესამე დასის პროგრამა, გაზ. „კვალი“ №22, გვ. 14-16 [dspace.nplg.gov.ge].
60. The North Atlantic Treaty Organization also called the North Atlantic Alliance (NATO) [nato.int/nato-welcome/index.html].
61. შელია კ. (1985). საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი (სკპ ცკ). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 9, გვ. 175.
62. Waxman, Olivia B. (2019, July 15). Lots of People Have Theories About Neil Armstrong's 'One Small Step for Man' Quote. Here's What We Really Know. *Time* magazine [time.com/5621999/neil-armstrong-quote].
63. Nadare, Maia (2020). *The Media Mill: Political Communication*. Tbilisi: Publishing House Universal, p. 301 (In Georgian).
64. Jolley, Richard (2020). *Complicity: Why and when we choose to censor ourselves and give away our privacy*. Index on Censorship, SAGE.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

65. Legutko, Ryszard (2018). *The Demon in Democracy: Totalitarian Temptations in Free Societies*. New York, NY: Encounter Books.
66. ცხოვრება საბჭოეთში: 70 ამბავი (2019). შემდგენელი – ბუბა კუდავა, სერია „თან საკითხავი“ №41, თბილისი: „არტანუჯი“.
67. Duke, Katy (2005, December 14). Uzbekistan pulls plug on Radio Free Europe. *The Guardian* [theguardian.com/media/2005/dec/14/radio1].
68. Liang Xiao (2015). *Anti-Jamming Transmissions in Cognitive Radio Networks*. 1st Edition, Kindle Edition, Springer.
69. This is the time between 8 and 11 PM or between 7 and 10 PM, depending on the time zone, in the US and Canada, especially with respect to programming on television and cable networks. On Sunday, prime time begins an hour earlier; The time period when the television or radio audience is the largest; television shows which are shown in prime time; the choicest or busiest time. ტერმინ prime time-ის განმარტებათა შესაბამისად, ქართული რადიოგადაცემის სახელწოდებად შეირჩა „პიკის საათი“. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალი, რამაც გამოიწვია კონკრეტულად 18:00 საათზე „პიკის საათის“ დაწყების აუცილებლობა: ახალ ქართულ რადიოგადაცემას საბჭოთა საქართველოს მოსახლეობა უნდა მიეზიდა, დაეინტერესებინა და „წაერთმია“ 1979 წლისთვის საკმაოდ პოპულარული ამერიკული რადიოგადაცემებისთვის. ასეთი იყო ცენტრალური კომიტეტის ფარული მიზანი და პირდაპირი დირექტივა საქართველოს რადიოს ხელმძღვანელობისადმი.
70. Urban, George R. (1997). *Radio Free Europe and the Pursuit of Democracy: My War Within the Cold War*. New Haven, CT: Yale University Press.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)